GNOMON WISEN

ანგარიში - 2022

წანამძღვარი

2022 წელი განსაკუთრებით დაძაბული იყო როგორც ჩვენი რეგიონისთვის, ისე მსოფლიო წესრიგისა და მშვიდობისთვის. რუსეთის ფედერაციის აგრესიული შეტევის განახლებამ უკრაინის სუვერენიტეტზე და მისმა ექსპანსიონისტურმა პოლიტიკამ, მძიმედ შეარყია არსებული მსოფლიო წესრიგი და საფრთხისა და გამოწვევის წინაშე დააყენა ყველა ის საზოგადოება და სახელმწიფო, რომლისთვისაც დემოკრატია და ლიბერალური განვითარება მნიშვნელოვანია. რუსეთის დამანგრეველი ომი უკრაინაში კვლავ გრძელდება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინის ბრძოლისუნარიანობამ გააერთიანა საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოება საერთო მტრის წინააღმდეგ და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საერთაშორისო სისტემაში და 21-ე საუკუნის მსოფლიოში ავტორიტარიზმისა თუ ტოტალიტარიზმის ადგილი არ არის.

2022 წელი მნიშვნელოვანი იყო ევროპული განვითარების პერსპექტივისთვისაც. ევროპული კავშირის აღმოსავლეთით გაფართოების ფარგლებში, საქართველოს ორმა პარტნიორმა და მეგობარმა ქვეყანამ, უკრაინამ და მოლდოვამ, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო, ხოლო საქართველომ 12 პუნქტიანი სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულების პირობებშიც ჩვენი ქვეყანა კანდიდატის სტატუსს მიიღებს.

2022 წელს ცეცხლი განახლდა ყარაბაღის რეგიონშიც, თუმცა დასავლური საზოგადოების ჩართულობამ და თავად მეომარ მხარეთა მხრიდან მშვიდობის სურვილმა, წლის ბოლოსთვის შედარებითი სტაბილურობა და ზავი მოიტანა.

ამ მოვლენების ფონზე, ბუნებრივია, საქართველო ბევრი გამოწვევის წინაშე დგას, როგორც საგარეო, ისე შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით, არასტაბილური რეგიონი და საერთაშორისო წესრიგი, ბევრ სირთულეს გვიქადის მომავალშიც. შესაბამისად, ყველა პასუხისმგებლიანი ძალა საქართველოში უნდა ჩაერთოს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევასა და წარმატებით გადალახვის პროცესში.

Gnomon Wise მთელი 2022 წლის განმავლობაში აქტიურად ცდილობდა სანდო და კვალიფიციური კვლევებით, საჯარო დისკუსიებით, ადგილობრივ, რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე ჩართულობით - მრავალმხრივი აქტივობებით ეპასუხა ქვეყნის თუ რეგიონის წინაშე არსებულ გამოწვევებზე და წვლილი შეეტანა პროცესების პოზიტიურ ტრანსფორმაციაში.

ჩვენი გუნდი მადლობას უხდის თითოეულ ადამიანს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ჩართული იყო ჩვენს აქტივობებში და გვეხმარებოდა საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაში. ასევე, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს მკითხველს, რომელთა აქტიურობაც განსაკუთრებულ მოტივაციას გვაძლევს.

წინამდებარე დოკუმენტში, მოკლედ წარმოგიდგენთ იმ ძირითად აქტივობებს, რომელიც 2022 წლის განმავლობაში Gnomon Wise-ის გუნდმა განახორციელა.

ჩვენი გუნდი რჩება დემოკრატიული ღირებულებების ერთგული და მზად არის 2023 წელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს უკეთესი მომავალის ფორმირებაში.

მოსამართლეების თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება თეორიულ და შედარებით პერსპექტივებში - რეკომენდაციები საქართველოსთვის

ავტორები: დავით ზედელაშვილი, თამარ ქეცბაია - 21/02/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

აბსტრაქტი: ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს (OSGF)“ მხარდაჭერით, Gnomon Wise-ის მკვლევრების მიერ მომზადებული კვლევა მოიცავს სამ ნაწილს. პირველ ნაწილში განხილულია მოსამართლეთა თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება როგორც გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ინსტიტუტი, მისი ფორმები, კონტექსტები, მიმართება გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების სხვა ინსტიტუტებთან. ყველა ეს საკითხი განხილულია შესაბამისი ნორმატიული თეორიისა და შედარებითი ანალიზის პრიზმაში. მეორე ნაწილი ეთმობა მოსამართლეების თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების „ალბანურ მოდელს“. აღნიშნული მოდელის უფრო დაწვრილებით გამოკვლევის გამართლება ძირითადად ეფუძნება მის შესაბამისობას ევროპული კონვენციის სტანდარტებთან და მის შექმნაში ევროპული მონაწილეობის გამოცდილების გამოკვლევის მნიშვნელობას. მესამე ნაწილი ეთმობა საქართველოს სასამართლო შტოს დელეგიტიმაციისა და დისფუნქციის ძირითადი მიზეზების ანალიზს, ინსტიტუციური და პერსონალის რეფორმების ზოგადი მიზნების გამოკვეთას და თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმების ინსტიტუციური მოდელის შეთავაზებას შესაბამისი რეკომენდაციის სახით.

საქართველოს ხელისუფლების საჯარო რიტორიკა - რუსული პროპაგანდის მინი მოდელი

ავტორი: დავით ქუტიძე - 11/05/2022

აბსტრაქტი: დოკუმენტში მიმოხილულია პროპაგანდის დარწმუნების ტექნიკები, რომელსაც ავტორის დაკვირვებით, რუსული პროპაგანდა იყენებს. პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით, ავტორი ასკვნის, რომ რუსული პროპაგანდა სრულად ნეგატიურ დღის წესრიგზეა აგებული. მისი მიზანი არა საზოგადოების საკუთარ სიმართლეში დარწმუნება, არამედ მათი „ტვინების გამორეცხვა“, შიშის და დაბნეულობის დათესვაა. ის ქმნის მტრის ხატს დასავლური დემოკრატიების სახით და ავრცელებს აბსურდულ ტყუილებს საკუთარი არაჰუმანური ქმედებების გადასაფარად. რუსული პროპაგანდა უწყვეტად „ბომბავს“ სამიზნე აუდიტორიას მანიპულაციური გზავნილებით და განსაკუთრებით აქტიურია კრიზისების დროს.

კვლევის მთავარი მიგნება, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკასა და რუსულ პროპაგანდას შორის მსგავსებების გამოვლენაა, რამდენადაც საქართველოს ხელისუფლების საჯარო კომუნიკაცია, ისევე როგორც რუსული პროპაგანდა, ოპონენტების და ზოგადად, კრიტიკული აზრის მქონე ადამიანების მიმართ უმძიმეს ბრალდებებს, მოსახლეობაში უსაფუძვლო შიშების გაღვივებას, საზოგადოების განწყობებით მანიპულირებასა და ნეგატიური დღის წესრიგის დადგენას გულისხმობს. ავტორის დაკვირვებით, მსგავსი კომუნიკაცია, საზოგადოების გახლეჩასა და დეზორიენტაციას უწყობს ხელს.

ნეიტრალიტეტი - დაუცველი პატარა ქვეყნის პარადოქსული არჩევანი

ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 30/08/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

აბსტრაქტი: დოკუმენტი გვთავაზობს ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში არაერთხელ გააქტიურებული თემის (განსაკუთრებით უკრაინაში მიმდინარე ომის კვალდაკვალ), ნეიტრალიტეტის საკითხის სიღრმისეულ მიმოხილვას, მის სახეებს, ისტორიულ და მიმდინარე გამოცდილებას. ავტორი განიხილავს ნეიტრალიტეტის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის არჩევანის გამოწვევებსა და მის მიზნობრიობას პატარა ქვეყანასთან მიმართებით.

საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ისტორიული გამოცდილების გააზრების შედეგად, ავტორი ასკვნის, რომ ნეიტრალიტეტის წინაპირობების თვალსაზრისით, საქართველო იმაზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშიც არ იმყოფება დღეს, ვიდრე მოლდოვა 1994 წელს, როდესაც ამ უკანასკნელმა ნეიტრალიტეტის გადაწყვეტილება მიიღო. უფრო მეტიც, 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობის აქტით თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია რუსეთისთვის 1921 წელს ქვეყნის ანექსია მოეხდინა და საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოეცხადებინა. ნეიტრალიტეტი იმ პირობებში, რომ ქვეყანა მის ვერც ერთ პირობას ვერ აკმაყოფილებს და მსოფლიო წესრიგიც იცვლება, პატარა, დაუცველი ქვეყნის, პარადოქსული არჩევანია.

მიკერძოებულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული მონეტარული პოლიტიკა

ავტორი: ეგნატე შამუგია - 28/09/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

აბსტრაქტი: დოკუმენტში განხილულია მონეტარული ხელისუფლება და შესაბამისად, მონეტარული პოლიტიკის გატარება. კერძოდ, ცენტრალური ბანკის როლი ეკონომიკაში და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლები. კვლევა ყურადღებას ამახვილებს ემპირიული ლიტერატურის შესწავლაზე, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ მოდელებს და მათ როლს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თეორიებისა და დაშვებების ემპირიულ შემოწმებას და არსებული ემპირიული ლიტერატურის მიკერძოებას, რომელზე დაყრდნობითაც ცენტრალური ბანკი იღებს გადაწყვეტილებას ან უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას ამართლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და რუსეთის 24 წლიანი ტოქსიკური ურთიერთობის „დასასრულის დასაწყისი“

ავტორი: თამარ ქეცბაია - 21/11/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

აბსტრაქტი: ნაშრომში მიმოხილულია რუსეთისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 24 წლიანი ტოქსიკური ურთიერთობა და მისი ოფიციალური დასასრული, რომელმაც თავის მხრივ, იმდენი სამართლებრივი თუ პოლიტიკური კითხვა წარმოშვა, რომ შეიძლება ითქვას, ურთიერთობის ფორმალურმა შეწყვეტამ უფრო ტოქსიკურ ფაზაში გადაიყვანა ეს ურთიერთობა. ავტორი, მიმოიხილავს რა ყველა იმ მოვლენას (რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია), რომელმაც თითო აგური დადო რუსეთსა და სასამართლოს შორის კედლის მშენებლობაში, ამ მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით, ასკვნის, რომ 2022 წელს უკრაინაში წარმოებული მორიგი ომის პასუხად, რუსეთის საბჭოდან გარიცხვით, რასაც ავტომატურად მოყვა კონვენციის დენონსაცია და შესამისად, რუსეთზე სასამართლოს იურისდიქციის გავრცელების შეწყვეტა, ყველაზე მეტად დაზარალდა ზოგადად რუსეთი (და არა მოქმედი რეჟიმი) და ევროპული სასამართლო, უფრო ზუსტად კი კონვენციის სისტემა, ის საერთო მიზანი, რომელმაც 47 სახელმწიფო გააერთიანა.

რაც შეეხება რუსეთის მოქმედ რეჟიმს, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, რეჟიმის სუბიექტური პერსპექტივიდან, საბჭოდან გარიცხვა და კონვენციის წევრობის შეწყვეტა, რაც თავსმოხვეული ვალდებულებებისგან გათავისუფლებად და მოქმედებათა აბსოლუტური თავისუფლების აღდგენად არის აღქმული, შეიძლება უფრო დიდ ბენეფიტად მიიჩნეოდეს, ვიდრე დანაკრგად. თუმცა, შიდა აუდიტორიისთვის შექმნილი საზეიმო განწყობის მიუხედავად, ავტორის მოსაზრებით, სწორედ კვლევაში განხილული გამოცდილება გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ დანაკარგი მოქმედი რეჟიმისთვისაც კი თვალშისაცემია, რამდენადაც მას ხელიდან გამოეცალა ის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი, რომლითაც ორი ათწლეულის განმავლობაში ეფექტურად მანიპულირებდა მთელი სისტემით საკუთარი საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების დინამიკა სასამართლოს ინსტიტუციური ევოლუციის ჭრილში

ავტორი: თამარ ქეცბაია - 12/07/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

აბსტრაქტი: საქართველოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ურთიერთობა 23 წელს ითვლის. ამ პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ათასობით საჩივარი შევიდა. მიმართვიანობა კონვენციის რატიფიცირების პირველივე წლებიდან თვალშისაცემი იყო, თუმცა პიკს 2008 წელს მიაღწია. 2013 წლიდან კი, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად შემცირდა შეტანილ საჩივართა რაოდენობა, რაც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა აქტორებში დიდ ინტერესს იწვევს.

რამდენადაც საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საჩივართა რაოდენობის ცვლილების გამომწვევი მიზეზები ამ დრომდე შესწავლილი არ ყოფილა და არსებული ცოდნით შეუძლებელია ევროპულ სასამართლოში საქართველოს მაჩვენებლების ცვლილების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე საუბარი, კვლევის მიზანს, სწორედ, ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ საქმეთა დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა წარმოადგენს. ამასთან, კვლევაში ცალკე თავი ეთმობა ისეთი ეგზოგენური ფაქტორების შესწავლას, როგორიც არის თავად ევროპულ სასამართლოში განხორციელებული რეფორმები, რომელთაც პირდაპირი გავლენა იქონიეს ზოგადად სასამართლოში წარმოებულ საქმეთა დინამიკაზე.

კვლევით დასტურდება, რომ ევროპულ სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ საქმეთა დინამიკას განსაზღვრავს როგორც ენდოგენური ფაქტორები (მათ შორის, სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, სხვადასხვა დროს, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ გადადგმული ნაბიჯები), ასევე, განსაკუთრებით მაღალია სტატისტიკურ მაჩვენებლებზე ეგზოგენურ ფაქტორთა გავლენა. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეგზოგენური ფაქტორი, 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ მართული კამპანიაა, რომლის ფარგლებშიც საქართველოს წინააღმდეგ 3 300-ზე მეტი საჩივარი (რაც საქართველოს მიერ კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე შეტანილ საჩივართა თითქმის 50%-ს შეადგენს) შევიდა, თუმცა სასამართლოს მიერ ყველა მათგანი ამოირიცხა განსახილველ საქმეთა სიიდან ან დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ანალიტიკა

ჯოზეფ რაზი და სამართლის უზენაესობის ღირებულება
ავტორი: დავით ზედელაშვილი
10/05/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

ჯოზეფ რაზი, წინა საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული სამართლის ფილოსოფოსი, 2022 წლის 2 მაისს, ლონდონში გარდაიცვალა. დოკუმენტში, ავტორი მიმოიხილავს სამართლის უზენაესობის თეორიის ფილოსოფიურ დაცვას ჯოზეფ რაზის მიერ, როგორც დემონსტრაციას რაზის ფილოსოფიური მემკვიდრეობის ფუნდამენტური მნიშვნელობისა სამართლებრივ პოზიტივიზმს მიღმა. მემკვიდრეობისა, რომლის შესწავლითაც სამართლის, პოლიტიკის და მორალის ფილოსოფოსები კიდევ დიდხანს დაკავდებიან.

რუსეთის ეკონომიკა: სანქციების ეფექტი
ავტორი: ეგნატე შამუგია
18/05/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

დოკუმენტში განხილულია რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურა, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ექსპორტ-იმპორტის კომპოზიცია, რაც საშუალებას გვაძლევს უკეთ დავინახოთ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების მასშტაბი და მისი გავლენა რუსეთის ეკონომიკაზე.

არებობს თუ არა ეკონომიკის გადახურების რისკი?!
ავტორი: ეგნატე შამუგია
29/07/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

პუბლიკაციის გამოქვეყნების პერიოდში ეკონომიკის ორნიშნა ზრდიდან გამომდინარე, აქტუალური იყო საუბარი ეკონომიკის გადახურებაზე. აღნიშნული სტატია განიხილავს ეკონომიკის გადახურების თეორიულ არსს და ემპირიულად ზომავს ეკონომიკურ მდგომარეობას. კერძოდ, ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: არის თუ არა საქართველოს ეკონომიკა გადახურებული?

ეროვნული ბანკის ეფექტურობის შეფასება ბოლო ოცწლიან პერიოდში
ავტორი: ეგნატე შამუგია
16/09/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

სტატიაში განხილულია ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოს ბანკის საქმიანობა. კერძოდ, მისი ძირითადი ფუნქცია - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა. აღნიშნული შეფასებულია ინფლაციის დონით და პროგნოზირებადი გარემოს საშუალებით.

ცვლილებები „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში - ცენზურის საფრთხე ევროდირექტივის მიკერძოებული ინტერპრეტაციებით

ავტორები: დავით ქუტიძე, ირინა გურგენაშვილი
21/09/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

დოკუმენტში გაანალიზებულია „ქართული ოცნების“ დეპუტატების მიერ მიმდინარე წლის 7 სექტემბერს წარდგენილი კანონპროექტი (ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში) და ის საფრთხეები, რომელიც გარდაუვლად დადგება პროექტის არსებული ფორმით დამტკიცების შემთხვევაში. ამავდროულად, დოკუმენტში მიმოხილულია 2010/13/EU ევროდირექტივის მოთხოვნები, რომელიც კანონმდებლებმა განსაზღვრეს, როგორც ცვლილების აუცილებლობის მიზეზი. საკანონმდებლო ინიციატივის ანალიზი აჩვენებს, რომ ცვლილებების ამ ფორმით მიღება არ წარმოადგენს ევროდირექტივის მოთხოვნებს და ადგილი აქვს ამ დირექტივების მიკერძოებულ ინტერპრეტაციას.

სპორტი და პოლიტიკა - როგორ იყენებს არადემოკრატიული რეჟიმების პროპაგანდა სპორტსა და სპორტსმენებს

ავტორი: დავით ქუტიძე
13/10/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

დოკუმენტში ასახულია ავტოკრატიული და ტოტალიტარული რეჟიმების მიერ, დროის სხვადასხვა მონაკვეთში სპორტისა და სპორტსმენების პროპაგანდისტული მიზნებისთვის გამოყენების ფაქტები. აღნიშნული ფაქტები გაანალიზებულია პროპაგანდის ტექნიკების ჭრილში და შედარებითი ანალიზით, პარალელები გავლებულია საქართველოში მიმდინარე პროცესებთან. წარმატებულ სპორტსმენზე მიტმასნებისა და მისი პროპაგანდისტული მიზნებით გამოყენების მცდელობა ქართულ პოლიტიკაშიც აქტუალურია - პარლამენტის საშემოდგომო სესია საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „ნაპოლის“ ფეხბურთელის, ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ დებატებით გაიხსნა, სადაც „ქართული ოცნების“ დეპუტატები და პოლიტსაბჭოს წევრები ცდილობდნენ ფეხბურთელის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი გამოეყენებინათ პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციისთვის.

რატომ ვერ გრძნობს მოსახლეობის უმრავლესობა ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას

ავტორი: ეგნატე შამუგია
25/10/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

2022 წელს საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდაა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებში განსხვავებული სურათია ასახული. ამის მიზეზი კი ეკონომიკის სტრუქტურა, ზრდის ერთჯერადი ხასიათი და ორნიშნა ინფლაციაა. ჩამოთვლილი კი სტატიაში ემპირიულად არის ნაჩვენები და განხილული.

ანალიტიკა

რას და რატომ ვერ ვსწავლობთ ავტოკრატიებზე?
ავტორი: დავით ზედელაშვილი
28/10/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

ანალიტიკურ ნაშრომში აღწერილი სირთულეები გვაჩვენებს რამდენად შეზღუდულია ცოდნა ავტოკრატიის ცენტრალურ საკითხებზე, რაც თავის მხრივ, ართულებს როგორც ავტოკრატიის ნორმატიულ კრიტიკას, ისე ავტორიტარულ რეჟიმებთან პრაქტიკულ პოლიტიკურ დაპირისპირებას. მიუხედავად მნიშვნელოვანი პროგრესისა, ავტოკრატიების შესახებ საზოგადოების ცოდნა კვლავ მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ამის გამომწვევი ნაწილობრივ არის კოგნიტური და იდეოლოგიური მიკერძოებები, თუმცა ისინი გამყარებულია ობიექტური ფაქტორებითაც, რომლებიც ავტოკრატიების შესწავლას აფერხებენ. ამ სტატიაში აღწერილი სირთულეები ცხადია ამომწურავი ვერ იქნება, თუმცა გვაჩვენებს რამდენად შეზღუდულია ჩვენი არსებული ცოდნა ავტოკრატიის ცენტრალურ საკითხებზე, რაც თავის მხრივ, ართულებს როგორც ავტოკრატიის ნორმატიულ კრიტიკას, ისე ავტორიტარულ რეჟიმებთან პრაქტიკულ პოლიტიკურ დაპირისპირებას.

ანტიკორუფციული ბიუროს შექმნა - კორუფციასთან ბრძოლის ფუჭი მცდელობა
ავტორი: ეგნატე შამუგია
08/11/2022 (იხ. ბმული -ქართ/ინგ)

სტატიაში შეფასებულია ევროკომისიის 12 პუნქტიანი გეგმის ფარგლებში მთავრობის ინიციატივა - ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა. ამ პერსპექტივიდან სტატიაში განხილულია კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები და მათი ეფექტიანობა.

ჯანდაცვის ახალი პოლიტიკის გამოწვევები
ავტორი: ეგნატე შამუგია
12/11/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

2022 წლის ნოემბრის დასაწყისში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამიდან სამედიცინო სერვისების ანაზღაურების ახალი მეთოდი - დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები - ამოქმედდა. სტატიაში განხილულია დაფინანსების ახალი სისტემის დანერგვის მოსალოდნელი შედეგები.

რამდენად თავისუფალია ინტერნეტი საქართველოში და რამდენად მდგრადია ეს თავისუფლება?

ავტორი: დავით ქუტიძე
14/11/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

ნაშრომში გაანალიზებულია ის თუ რამდენად თავისუფალია ინტერნეტი საქართველოში და რა გამოწვევებს აწყდებიან საქართველოს მოქალაქეები ამ მიმართულებით. სხვადასხვა წყაროს ანალიზი ადასტურებს, რომ საქართველოში ინტერნეტი დიდწილად თავისუფალია. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს რიგი ბერკეტები, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი მიღწევა საპირისპიროდ შეიცვალოს. ეს, პირველ რიგში, ეხება ბუნდოვან საკანონმდებლო რეგულაციებს და სახელმწიფოს პერიოდულ მცდელობებს გაზარდოს კონტროლი ამ სფეროზე. იქიდან გამომდინარე, რომ დღეს საქართველოში დემოკრატია აღარ ვითარდება და შეიძლება ითქვას, რეგრესს განიცდის (ამის შესახებ საუბარია იგივე Freedom House-ის ანგარიშებში), ასევე, წლიდან წლამდე უარესდება მედიის თავისუფლება, რთულია გვქონდეს პოზიტიური მოლოდინები იმის შესახებ, რომ ინტერნეტი თავისუფალი დარჩება.

მთავრობის ზომის შეფასება

ავტორი: ეგნატე შამუგია
28/11/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ)

საქართველოში მთავრობის ზომის საკითხი ადრეული პერიოდიდან აქტუალურია. ორი ათწლეულის წინ, ხელისუფლებაში ყოფილი პოლიტიკური ძალის გაცხადებულ მიმართულებას მთავრობის ზომის შემცირება წარმოადგენდა, რამაც მომდევნო წლებში, ახალი ხელისუფლების პირობებშიც აქტუალობა შეინარჩუნა. ამჟამინდელი ხელისუფლების შემთხვევაში, მთავრობის ზომის შემცირების პოლიტიკური ნება მკაფიოდ IX მოწვევის პარლამენტის მიერ განხილულ, 2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამაში გამოვლინდა. სტატიაში შეფასებულია მთავრობის ზომა სხვადასხვა ინდიკატორებით და ემპირიულად ნაჩვენებია პოლიტიკის გავლენა ამ უკანასკნელზე.

2022 წელი - ფასების ორნიშნა ზრდა - ჩავარდნილი მონეტარული პოლიტიკა

ავტორი: ეგნატე შამუგია
20/12/2022 (იხ. ბმული - ქართ/ინგ).

დოკუმენტი არის საქართველოსთვის 2022 წლის მთავარი ეკონომიკური გამოწვევების ერთგვარი შეჯამება, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა სამომხმარებლო ფასების ხანგრძლივ ორნიშნა ზრდას - ინფლაციას და ეროვნული ბანკის პოლიტიკის შეფასებას, რადგან სწორედ ამ უკანასკნელს გააჩნია ფართო კონსტიტუციური მანდატი სამომხმარებლო ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. ავტორი აღნიშნავს, რომ 2022 წლის მთავარი მაკროეკონომიკური პრობლემა სამომხმარებლო ფასების ორნიშნა ზრდა იყო, რომლის საპასუხოდ ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკა ადეკვატური არ აღმოჩნდა და ამ კუთხით, უმაღლესი წარმომადგენლობით ორგანოს მიერ ბიუროკრატიულ-ტექნოკრატიულ ადმინისტრაციაზე ფართო მონეტარული ძალაუფლების დელეგირება დამარცხდა.

მოსაზრება

Back In The USSR (უკან, საბჭოთა კავშირში)

ავტორი: თამარ ქეცბაია - 08/03/2022 (იხ. ბმული)

პუტინის რუსეთის ომი უკრაინაში, საქართველოს ხელისუფლების შიშები და ორმაგი სტანდარტები

ავტორი: დავით ქუტიძე - 23/03/2022 (იხ. ბმული)

რუსეთის ჩრდილო-კავკასიური თამაშები: რაც ხდება უკრაინაში, უკვე იყო ჩეჩნეთში

ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 23/03/2022 (იხ. ბმული)

„კადიროვიზაცია“ როგორც განაჩენი

ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 030/03/2022 (იხ. ბმული)

სომხეთ-აზერბაიჯანის „ბალანსირების პოლიტიკა“ რუსული აგრესიისას უკრაინაში

ავტორი: ირინა გურგენაშვილი - 12/04/2022 (იხ. ბმული)

შეაჩერებს თუ არა ფასების ზრდას ეროვნული ბანკის მიერ დაანონსებული დედოლარიზაცია?

ავტორი: ეგნატე შამუგია - 28/06/2022 (იხ. ბმული)

ბორის ჯონსონი - დემოკრატიული ძალაუფლება მეგობრების გარეშე

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 12/07/2022 (იხ. ბმული)

2022 წელი - ქართული მედია და საზოგადოება მზარდი პრობლემების პირისპირ

ავტორი: დავით ქუტიძე - 16/12/2022 (იხ. ბმული)

2022 - შროდინგერის ოლიგარქის ძიებაში

ავტორი: დავით ზედელაშვილი - 22/12/2022 (იხ. ბმული)

ქართული მედიის მდგომარეობა ბოლო ათწლეულში - პროგრესი, სტაგნაცია და რეგრესი

ავტორი: დავით ქუტიძე - 03/11/2022 (იხ. ბმული: ქართ/ინგ)

დოკუმენტში მიმოხილულია ქართული მედიის მდგომარეობა ბოლო ათწლეულში, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტიდან, ხელისუფლების არჩევნების შედეგად შეცვლიდან, დღემდე. არაერთი ფაქტისა და წყაროს ანალიზმა აჩვენა, რომ 2012 წელს კარგი სასტარტო პირობები ზოგადად დემოკრატიის და, მათ შორის, მედიის თავისუფლების კუთხით, ქვეყანამ ვერ გამოიყენა. ახალი ხელისუფლების მმართველობის პირველ წლებში შეინიშნებოდა პოლიტიკური ნება და პრაქტიკული მცდელობები მედიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუმცა ეს ტენდენცია „ქართული ოცნების“ მმართველობის პირველ ვადასთან ერთად დასრულდა. ბოლო წლებში კი, ამ პარტიის მმართველობის მესამე ვადაში, საქართველოში მედიის თავისუფლება წლიდან წლამდე უარესდება. აღნიშნულს ადასტურებს როგორც წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილული ფაქტები, ისე საქართველოს პოზიციების გაუარესება მედიის თავისუფლების სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსში. გარდა ამისა, ბოლო პერიოდში გამოიკვეთა და სულ უფრო იკიდებს ფეხს საქართველოს ხელისუფლების აგრესიული, პროპაგანდისტული რიტორიკა მედიის მიმართ, რაც თანამედროვე მსოფლიოს არადემოკრატიული რეჟიმების ერთ-ერთი ნიშანდობლივი მახასიათებელია.

სხვა აქტივობები

კვლევის პრეზენტაცია - „მოსამართლეთა თანამდებობასთან შესაბამისობის შემოწმება თეორიულ და შედარებით პერსპექტივაში“ - 21/02/2022 (იხ. ბმული)

2022 წლის 21 თებერვალს გაიმართა ღია საზოგადოება-საქართველოს (OSGF) და Gnomon Wise-ის თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული კვლევის პრეზენტაცია. კვლევის მიგნებები წარმოადგინეს Gnomon Wise-ის მკვლევრებმა, **დავით ზედელაშვილმა** და **თამარ ქეცბაიამ.** მიგნებების წარდგენის შემდგომ, გაიმართა დისკუსია დამსწრე აუდიტორიის ჩართულობით, რომელსაც უძღვებოდნენ OSGF-ის წარმომადგენლები.

დისკუსია - Gnomon Wise-ის ორგანიზებით, გაიმართა საჯარო დისკუსია: რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ეფექტების შესახებ - 09/06/2022 (იხ. ბმული)

2022 წლის 9 ივნისს საქართველოს უნივერსიტეტში გაიმართა Gnomon Wise-ის მიერ ორგანიზებული საჯარო დისკუსია რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებსა და მათი გავლენის შესახებ. რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ეფექტებზე ისაუბრეს Gnomon Wise-ის მკვლევარმა **ეგნატე შამუგიამ** და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მკვლევარმა (საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი) **დავით კეშელავამ.**

დისკუსიაზე განიხილეს შემდეგი აქტუალური თემები: რუსეთისა და ცალკეული ინდივიდებისათვის დაწესებული სანქციები; რუსეთის ეკონომიკის სტრუქტურა და სანქციების ეკონომიკური ეფექტი; საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობა; სანქციების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და გავლენის არხები. ამასთან, გამომსვლელებმა უპასუხეს დამსწრე აუდიტორიის კითხვებს.

კონფერენცია - „ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგი - სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები“ - 11/11/2022 (იხ. ბმული)

მიმდინარე წლის 11 ნოემბერს Gnomon Wise-ის მკვლევარი, **დავით ზედელაშვილი** მოხსენები თწარდგა Institute of Georgian, German and International Criminal Law-ის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე.
კონფერენციის ფარგლებში, დავითმა ისაუბრა გამოხატვის თავისუფლებაზე საქართველოში.

საერთაშორისო კონფერენცია - InternetCA-2022 - 17-18/11/2022 (იხ. ბმული)

მიმდინარე წლის 17-18 ნოემბერს, Gnomon Wise -ის მკვლევარი **დავით ქუტიძე,** Eurasian Fact-Checking and Media Literacy Network -თან პარტნიორობის ფარგლებში, მიწვეული იყო საერთაშორისო კონფერენციაზე InternetCA-2022.
კონფერენციის ერთ-ერთ პანელზე - „სახელმწიფო პოლიტიკა რეგიონის ციფრულ უფლებებთან დაკავშირებით“ - დავითმა წარადგინა საქართველოს პერსპექტივები და გამოწვევები ინტერნეტის თავისუფლებასთან მიმართებით.

რეგიონული კონფერენცია - „საქართველო და კავკასია - წარსული, აწმყო, მომავალი“ - 26/11/2022 (იხ. ბმული)

მიმდინარე წლის 26-27 ნოემბერს, Gnomon Wise-ის აღმასრულებელი დირექტორი, **ირინა გურგენაშვილი** მონაწილეობდა საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კონფერენციაში.
მოხსენების თემა იყო: „მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გარდაქმნის ანატომია - გამოწვევები ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობისთვის“.

კონფერენცია - „კონსტიტუციური შეთანხმების 20 წელი" 15/122022 (იხ. ბმული)

მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, Gnomon Wise-ის მკვლევარმა **დავით ზედელაშვილმა** მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში "კონსტიტუციური შეთანხმების 20 წელი", სადაც მოდერაცია გაუწია საკონსტიტუციო სამართლის სექციას და წარადგინა მოხსენება: "კონსტიტუციური შეთანხმება და სეკულარიზმის ცნების სიღარიბე საქართველოს კონსტიტუციაში".

კონფერენცია გაიმართა საქართველოს უნივერსიტეტის რელიგიის თავისუფლების ინსტიტუტის ორგანიზებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

მ. კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველო

www.gnomonwise.org